საინფორმაციო ბიულეტენი | ოქტომბერი

თემატური მოკვლევის „ქალების წვდომა ფინანსურ რესურსებზე“ ზეპირი მოსმენები გაიმართა.

3, 10 და 24 ოქტომბერს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის - „ქალების წვდომა ფინანსურ რესურსებზე“ - ჯგუფმა კვლევის საკითხებთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენა გაიმართა.

საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, თემატური მოკვლევის ექსპერტებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა ქალების მიერ ფინანსურ რესურსებზე წვდომასთან დაკავშირებით საკითხი მოსაზრებები წარადგინეს და თემატური მოკვლევის ჯგუფის მთავარ მოხსენებელთან, ანა ნაცვლიშვილისა და, აასევე, ექსპერტის შეკითხეს უპასუხეს.

მოკვლევა ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ასოციერების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) და ევროპული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), ასევე დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით.

ფემიციდის საბუნო ჯგუფის პირველი საკოორდინაციო შეხვედრა

საბჭოსა და ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს ფემიციდის საბუნო ჯგუფის პირველი საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა.

პარლამენტარებმა, არასამთავრობო სექტორისა და დეინორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით ფემიციდის საკითხებზე შემუშავდა რეკომენდაციები, დაიგეგმა საბუნო ჯგუფის თამაშრომლობის სამიმავლო ნაბიჯები და მოხდა საბუნო ფორმატის განხრა.

ნინო წილოსანი, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოსა და აზერბაიჯანის ოფისების დირექტორისა და თეფრქალი ორგანიზაციის ოფიციალურ წარმომადგენელს, დოქტორ ჰასან მოატაკამს შეხვდა.

მიმდინარე წლის **5** ოქტომბერს, საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოსა და აზერბაიჯანის ოფისების დირექტორისა და თეფრქალი ორგანიზაციის ოფიციალურ წარმომადგენელს, დოქტორ ჰასან მოატაკამს შეხვდა. შეხვედრაზე განხილული საბჭოს მიმდინარე საქმიანობა იქნა განხილული, ასევე მხარეებმა განიხილეს სამომავლო სტრატეგიები და თანამშრომლობის გაძლიერების გზები. შეხვედრისას ყურადღება გაამახვილეს UNFPA-სთან ერთად განხორციელებულ მიღწევებზე და იმ საკითხებზე, რომლებზე მუშაობა ახლაც მიმდინარეობს, კერძოდ- რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებში და დეკრეტული შვებულებისა და ოჯახებზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმართვა.

საინფორმაციო ბიულეტენი | ოქტომბერი

მაღალი დონის კონფერენციის ქალების როლზე მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგზე დისკუსიის ორგანიზება

მიმდინარე წლის **7** ოქტომბერს, გენდერული საბჭოს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, ნატოს სამეკავშირო ოფისის, DCAF-სადა სექტორის სხვა წარმომადგენლების მაღალი დონის შეხვედრა გაიმართა ქალების როლზე მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგზე დისკუსიის ორგანიზება.

შეხვედრისას განხილული იქნა პარლამენტის როლი უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში, დისკუსიისას გამოითქვა მოსაზრებები ამ მიმართულებით არსებული პროიორიტეტებზე, გამოწვევებსა და საჭიროებებზე. ასევე, დაიგეგმა სამომავლო ნაბიჯები, რაც ქალთა როლის ამ მიმართულებით გაძლიერებაზე იზრუნებს.

„ქალებისა და გოგოებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ფარგლებში გასვლითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა

მიმდინარე წლის **11-13** ოქტომბერს, „ქალებისა და გოგოებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ფარგლებში საბჭო შემდეგი ვიზიტით ზუგდიდის და წალენჯიხის და ქუთაისის მუნიციპალიტეტს უწევა.

შეხვედრების ფარგლებში საბჭო მუხლად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს და ადგილობრივ მუნრმე ქალებს, რომლებიც, როგორც თავად ქმნიან აქტესეარებსა და ტანსაცმელს, ისე - ასწავლიან სხვებსაც.

მოკვლევა ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ასოციერების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) და ევროპული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), ასევე დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით.

„თანასწორობის თაობის“ ვალდებულების ფარგლებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა

მიმდინარე წლის **11** ოქტომბერს, „გაეროს „თანასწორობის თაობის“ ფორუმის ფარგლებში, საბჭოს წევრმა მარიამ ლომშმა ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით სამუშაო ჯგუფის წევრებთან შეხვედრა გაამართა. მხარეებმა იმსჯელეს ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში გოგოხებისა და ქალების მეტი ჩართულობისთვის განსახორციელებელი ძაალტივიზებისა და სამომავლო ნაბიჯების შესახებ.

ოქტომბრის თვეში საბჭომ გაავრცელა 1 განცხადება.

13 ოქტომბრის განცხადებით, საბჭო გამოეხმაურა და მწუხარება გამოთქვა ვაკის პარკში დატრიალებული უბედურის შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი **13** წლის გოგოს ოჯახის წევრების, ახლობლებისა და მეგობრების მიმართ.

საინფორმაციო ბიულეტენი | ოქტომბერი

თემატური მოკვლევის„ქალებისა და გოგოებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ - ზეპირი მოსმენა გაიმართა.

მიმდინარე წლის **13** და **24** ოქტომბერს, საბჭოს წევრის ბაია კვეციანის ხელმძღვანელობით თემატური მოკვლევის „ქალებისა და გოგოებისთვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) მისაწვდომობის შესახებ“ - ზეპირი მოსმენა გაიმართა.

საბჭომ მოუსმინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და რელევანტური უწყებების, ბანკების წარმომადგენლებს.

„ქალებისა და გოგოებისთვის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის შესახებ თემატური მოკვლევა მიზნად ისახავს ამ კუთხით არსებული ვითარების კვლევას შემდგომში მათი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

მოკვლევა ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა(UNDP) და ევროპული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით.



საბჭო შეუერთდა ვარდისფერი ოქტომბრის თვის კამპანიას

მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს, საბჭო შეუერთდა ვარდისფერი ოქტომბრის-ძოძაქის კიბის შესახებ ცნობიერების ამაღლების თვის კამპანიას.

ცნობისთვის, 1997 წლიდან მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში არსებული სამედიცინო ორგანიზაციები და ადამიანები ერთიანდებიან საერთო მიზნის გარშემო, ცნობიერების ამაღლებით დაამარცხონ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული სიმსივნე.

საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა და საბჭოს წევრმა ანა ნაცვლიშვილმა მონაწილეობა მიიღეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კვლევის ჯეუნენტაციაში

მიმდინარე წლის **25** ოქტომბერს, საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა და საბჭოს წევრმა ანა ნაცვლიშვილმა მონაწილეობა მიიღეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კვლევის ჯეუნენტაციაში, რომელიც ანალიზებს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას, ეკონომიურ კვლევრებს, ქალთა ეკონომიკურ ინტერესებისა და პატრეიელ წესებში არსებული ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ანალიტიკური სამაგიდო კვლევა მიმზადებულია ევროპული-დემოკრატიული ინსტიტუტისა/NDI და გაეროს განვითარების პროგრამის/UNDP ფაკულეიათი და დიდი ბრიტანეთისა და შვედეთის ხელშეწყობით.